

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ხ ი დ ი - 2 0 0 6

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2021 წელი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლების ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ხიდი-2006

სრული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	4	1 831 801	1 247 345
სხვა შემოსავლები		437 921	165 072
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		225 559	(34 510)
მარაგის შეძენა		(1 390 336)	(640 300)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(283 914)	(307 726)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(592 621)	(656 556)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(373 256)	(375 632)
საგადასახადო ხარჯი		(111 812)	(26 480)
სხვა ხარჯი	6	(27 394)	(43 367)
მოგება-ზარალი საოპერაციული საქმიანობიდან	ქ. ბათუმი 2021 წელი	(284 054)	(672 154)
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(2 674)	(141 745)
ფინანსური ხარჯი		(423 593)	(12 374)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(710 321)	(826 273)
მოგების გადასახადი		-	(1 824)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(710 321)	(828 097)

დირექტორი: ჯუმბერ ჭყონია

ბუღალტერი: გოჩა ქათამაძე



შპს ხიდი-2006
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	11 733 962	11 784 813
არამატერიალური აქტივები		38 635	22 796
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>11 772 598</u>	<u>11 807 608</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	8	368 130	142 572
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9	635 037	666 327
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		-	35 768
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	10	<u>97 732</u>	<u>2 399</u>
სულ მიმდინარე აქტივები		<u>1 100 899</u>	<u>847 065</u>
სულ აქტივები		<u>12 873 497</u>	<u>12 654 673</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		13 613 078	10 855 765
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		<u>(2 744 720)</u>	<u>(2 034 400)</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>10 868 358</u>	<u>8 821 365</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		<u>1 087 126</u>	<u>1 904 929</u>
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>1 087 126</u>	<u>1 904 929</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	771 447	1 928 379
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		<u>146 566</u>	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>918 013</u>	<u>1 928 379</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>12 873 497</u>	<u>12 654 673</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ჯუმბერ ჭყონია

გოჩა ქათამაძე




შპს ხიდი -2006

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდით

	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 232 274	1 492 342
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3 127 797)	(2 160 920)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(204 420)	(224 729)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>(1 099 943)</u>	<u>(893 307)</u>
გადახდილი გადასახდები	(129 407)	(2 880)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	<u>(1 229 351)</u>	<u>(896 187)</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1 229 351)	(896 187)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შემენა	(570 853)	(671 507)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	2 757 314	(300 298)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2 186 460	(971 805)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	-	1 919 940
სესხის ძირის გადახდა	(742 050)	(61 290)
სესხის პროცენტის გადახდა	(120 920)	(12 374)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	3 279	3 450
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(2 085)	(33 092)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(861 777)	1 816 635
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	95 333	(51 357)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	2 399	53 755
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	97 732	2 399

დირექტორი

ჯუმბერ ჭყონია

მთ. ბუღალტერი

გოჩა ქათამაძე



**ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
განმარტებითი შენიშვნები**

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ხიდი-2006 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, საწარმოს იურიდიული მისამართი არის, ბათუმი, რუსთაველის 34, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი, რუსთაველის 34. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება. ქონების იჯარით გაცემა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით საწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის გავლენა საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე განმარტებულია შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობები	-1,3 -5 %
- მანქანა დანადგარები	-10-15%
- საოფისე აღჭურვილობა	-20-50%
- ავეჯი და მოწყობილობები	-15-35%
- სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში

ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცემად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)			
	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 831 801	1247345
	ჯამი	1 831 801	1247345

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)			
	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	508	5678
1	სატრანსპორტო მომსახურება	508	5678
	საიჯარო მომსახურება	57705	44809
2	საიჯარო მომსახურება	57705	44809
	კომუნალური მომსახურება	125522	161161
3	კომუნალური მომსახურება	125522	161161
	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	1849	6625
4	კომუნიკაციის ხარჯი	1849	6625
	საკონსულტაციო ხარჯები	76893	72010
5	საკონსულტაციო ხარჯები	76893	72010

	მომსახურების ანაზღაურება	4196	28978
	საწვავის ხარჯები	0	1650
	რემონტის ხარჯები	12325	12686
	კომპიუტერის ხარჯები	102	584
	დაცვის ხარჯი	3051	1186
	პრეზენტი	0	5344
	საბანკო ხარჯები	29654	17928
	წარმომადგენლობითი ხარჯები	0	1579
	ჯიპიეს მომსახურება	0	203
	კომპიუტერის ტექნიკური მომსახურება	0	327
	მომსახურების სააგენტოს ხარჯები	0	810
	საღარო აპარატების მომსახურების ხარჯი	159	480
	ნებართვები და მოსაკრებლები	0	1450
	საავტორო უფლებების გადასახადი	922	576
	დეზინფექციის ხარჯი	0	1483
	ჯარიმები და საურავები	55441	9408
	ლუდის აპარატის რეცხვის მომსახურება	140	25
	სხვა ერთჯერადი მომსახურების ხარჯები	4789	892
	ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა რესტორანი სანრემო	0	-240
6	სხვა მომსახურების ხარჯი	110778	85349
	ჯამი:	373256	375632

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	27394	43367
	ჯამი:	27394	43367

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

	შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
1	მიწის ნაკვეთები	1 851 056	-	5 392	1 856 448
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	975 829	5 396	-	970 433
3	შენობა ნაგებობები	7 053 771	332 317	-	6 721 454
4	მანქანა-დანადგარები	589 790	92 205	-	497 585
5	ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 390 930	159 580	-	1 231 350

6	სატრანსპორტო საშუალებები	582 775	-	146 483	729 257
7	სარესტორნო აღჭურვილობა	989 784	59 561	-	930 223
8	სხვა	950	-	-	950
	ჯამი:	13 434 883	649 059	151 875	12 937 699

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2021	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2020
1	მიწის ნაკვეთები ცვეთა	-	-	-	-
2	დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა	169 269.67	37 475	-	131 794
3	შენობა ნახებობების ცვეთა	168 860.51	34 903	-	133 957
4	მანქანა-დანადგარების ცვეთა	176 981.84	75 489	149 980	251 473
5	ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	537 780.75	304 669	-	233 111
6	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	185 338.74	23 608	40 539	202 270
7	სარესტორნო აღჭურვილობის ცვეთა	462 689.39	262 408	-	200 281
8	სხვა ცვეთა	-	190	190	-
	ჯამი:	1 700 921	738 743	190 709	1 152 887
	საბალანსო ღირებულება	11733962			11784813

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

	შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	(ლარი) ნაშთი 31.12.2019
1	ლიცენზიები	46164	19698	0	26466
2	სხვა არამატერიალური აქტივები				0
	ჯამი:	46164	19698	0	26466

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2021	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2020
--	-------	---------------------	--------------------	-----------------	---------------------

1	ლიცენზიების ამორტიზაცია	7529	3858	0	3670
2	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია				0
	ჯამი:	7529	3858	0	3670

	საბალანსო ღირებულება	38635			22796
--	-----------------------------	--------------	--	--	--------------

9. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	შეძენილი მარაგი	1 390 336	640300
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	142 572	177082
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	368 130	142571

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	სავაჭრო მოთხოვნები	635037	672046
	ჯამი:	635037	672046

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	10596	1990
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	158	263
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	64989	146
4	ნაღდი ფული სალაროში - უცხოური ვალუტა	21988	0
	ჯამი:	97732	2399

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1087126	1904929
	ჯამი:	1087126	1904929

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	სავაჭრო ვალდებულებები	771447	1926929
	ჯამი:	771447	1926929

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 3 ოქტომბერს

დირექტორი:

ჯუმბერ ჭყონი

მთ. ბუღალტერი:

გოჩა ქათამაძე

